სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

24 / ოქტომბერი / 2024 წ.

KARR0111832333724

№ **1-1/40**

ბრძანება

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე №28 არეალის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისა და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2024 წლის 11 ოქტომბრის № 1650/09 განცხადებით მომართა ბარბარე კიკილაშვილმა (პირადი ნომერი 01024085370) და მოითხოვა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე № 28 არეალში მდებარე 64.10.08.396; 64.10.08.156; 64.10.04.167; 64.30.08.171; 64.10.08.399; 64.30.08.532; 64.30.01.555; 64.30.01.125 და 64.30.01.126 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა, შემდგომში დასასვენებელი სახლების, სასტუმროს ტიპის საცხოვრებლებისა და მრავალფუნქციური შენობების მშენებლობისათვის.

საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია "ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 591 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) დანართი 5-ის ფარგლებში № 28 არეალისათვის განსაზღვრული გგ/გდგ-ს დამუშავების პირობების შესაბამისად.

დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საკურორტო ზონა 1 (შზ-6), რომლის განვითარება დასაშვებია შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებით: კ1-0.2; კ2-0.2; კ3-0.4; მაქსიმალური სართულიანობა: 2 სართული მანსარდით; მაქსიმალური სიმაღლე 7.5 მეტრი, კეხში 12.5 მეტრი; ცენტრის ზონა (შზ-2) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: კ1-0.4; კ2-0.6; კ3-0.2; მაქსიმალური სართულიანობა: 3 სართული მანსარდით; მაქსიმალური სიმაღლე 11 მეტრი, კეხში 16 მეტრი; ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია და ტრანსპორტის ტერიტორია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე დასასვენებელი სახლების, სასტუმროს ტიპის საცხოვრებლებისა და მრავალფუნქციური შენობების მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნას დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატიცის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი № 1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულებისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი № 2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად;

2. გაფორმებულ იქნას შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებული უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში;

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნას ადმინისტრაციული ხელშეკრულება;

5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე